საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №190/04
2019 წლის 11 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №143/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 30 მაისის №90/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №143/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 30 მაისის №90/04 ბრძანების (www.matsne.gov.ge; 31/05/2019; ს/კ: 220090000.18.011.016389) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 1 თებერვლიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**